# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
### გ. ტ. № 2-14

15.01.2014

ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მისი თავმჯდომარის მოადგილის ილიკო ქადაგიშვილის სახით, შემდგომში – შემსყიდველი, ერთის მხრივ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თანადგომა-I" გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი, მისი დირექტორის მარინა კანდელაკის სახით, შემდგომში – მიმწოდებელი, მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტისა და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA130028780) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

***მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი***

1.1 ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული განცხადებების ბეჭდვის და გავრცელების მომსახურების **(CPV79824000)** განხორციელება, – შემდგომში მომსახურება.

***მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი***

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით შეადგენს 13 950.00 (ცამეტი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარს.

2.2. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ყოველთვიურად, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში, არაუგვიანეს მომდევნო თვის 25 რიცხვისა. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს მოსთხოვოს მიწოდებულ საქონელზე ანგარიშსწორება, მხოლოდ ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგომ.

***მუხლი 3. მომსახურების შესაბამისობა***

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი მომსახურებისათვის დადგენილ სტანდარტებს.

3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

***მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი***

4.1. მომსახურების გაწევა ხორციელდება ობიექტის ადგილმდებარეობის მიხედვით.

4.2. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველზე გადაცემის შემდეგ.

4.3. ამ ხელშეკრულების ძალით გაწეული მომსახურების შემოწმებას და მიღებას ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული – საავტომობილო გზების აპარატი და საავტომობილო გზების საერთაშორისო პროექტების სამმართველო, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

***მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი***

5.1. მიმწოდებელივალდებულია:

ა) მომსახურება განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობების შესაბამისად;

ბ) მომსახურების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული პირობით;

გ) დაიცვას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები;

დ) შემსყიდველის საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს განცხადების ინგლისურენოვანი ტექსტის ბეჭდვა საქართველოში გამომავალ ინგლისურენოვან გამოცემაში

ი. [signature]  მ. [signature]

ე) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

ბ) მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს ინსპექტირება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობაზე;

***<u>მუხლი 6. ფორს-მაჟორი</u>***

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

***<u>მუხლი 7. პასუხისმგებლობა</u>***

ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1% არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

***<u>მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა</u>***

8.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს)

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა; თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

***<u>მუხლი 9. ინსპექტირება</u>***

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას მომსახურების გაწევის შესაბამის ადგილზე ახდენს შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული - საავტომობილო გზების აპარატი და საავტომობილო გზების საერთაშორისო პროექტების სამმართველო, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

9.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

*მუხლი 10. სხვა პირობები*

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10.2. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.5. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან ორი კვირის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

*მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები*

**შემსყიდველი:**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12, საიდენტიფიკაციო კოდი 211 343 982, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის №200122900.

**ხელმოწერა** ______________________ **იოსებ ქადაგიშვილი**

**მიმწოდებელი:**

შპს"თანადგომა-I"გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150, ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გ. ახვლედიანის ქ. №19, საიდენტიფიკაციო კოდი 202 411 808, საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი", ბ/კ
ანგარიშის №(

**ხელმოწერა** ______________________ **მარინა კანდელაკი**

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

**მუხლი 1.**

1.1 შესყიდვის ობიექტია მიმწოდებლის მიერ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული განცხადებების ბეჭდვა და განთავსება ბეჭდვითი პრესის მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს განცხადების ინგლისურ ენოვანი ტექსტის ბეჭდვაც.

1.2. განცხადება უნდა განთავსდეს გაუყოვნებლივ, მიწოდებიდან ერთი დღის განმავლობაში.

**მუხლი 2.** გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა:

2.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა დანართი №3-ის მიხედვით.

**მუხლი 3.** მომსახურების გაწევის ვადები:

3.1 მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ი. [signature] მ. [signature]

შპს „თანადგომა-1“
გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი
LTD "TANADGOMA-1"

დავით აღმაშენებლის 150

ტელ:
298-65-87;
599 79-76-79

30 დეკემბერი 2013 წელი.

# ხარჯთაღრიცხვა

დანართი №3

| № | მომსახურების დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | პრესის მეშვეობით განცხადებების ბეჭდვა და გავრცელება | სმ$^2$ | 45 000 | 0.31 | 13 950 |
| | ჯამური ღირებულება | | | 13 950 | |

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ სატენდერო წინადადების ფასში გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი.

დირექტორი: მარინა კანდელაკი

შპს „თანადგომა-1“
გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი
LTD "TANADGOMA-1"

დავით
აღმაშენებლის
150

ტელ:
298-65-87;
599 79-76-79

# ინფორმაცია მომსახურების პირობების შესახებ

30 დეკემბერი 2013 წელი.

ა) სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება გამარტივებული ელექტრონული ტენდერისათვის „ხელშეკრულება დადებულია“, „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ ან „ტენდერი შეწყვეტილია“ სტატუსის მინიჭებამდე.

ბ) ჩვენს მიერ მოწოდებული იქნება გაზეთის სადაც იქნება მოთავსებული შემსყიდველის განცხადება.

დ) გაზეთი აქვეყნებს საქმიან განცხადებებს.

დ) გაზეთი გამოდის ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით და ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ასევე ინტერნეტითაც.

ყოველდღიური ტირაჟი – 6800 ცალი.

ე) შესაძლებელია გამოსაქვეყნებელი მასალის ელექტრონულად მოწოდება.

ვ) შემსყიდველის მიერ მოწოდებული მასალები გაზეთში დაიბეჭდება მოთხოვნის შესაბამისად.

დირექტორი: (მ. კანდელაკი)